ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1655963

ნომერი: AR1271741

თარიღი : 09.12.2014

გაცემის თარიღი : 26.12.2014

გაცნობის თარიღი : 30.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო სადგური "რუსთაველი" , (ნაკვ.11/5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შალვა სირაძე პ/ნ 01005004893
- თბილისი ზ.ჭავჭავაძის ქ. N 9 ბ. 21

ორგანიზაცია:
- შპს თ&მ კოდი: 404454318

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), მეტრო სადგური "რუსთაველი"–ს (ნაკვ. 11/5) ვესტიბიულის სახურავზე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების სამუშოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "მეცხრე ტალღა"–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ფართის ამონაწერი საჯარო რესტრიდან, რეგისტრაციის N882014660389, 09.12.2014, საკადასტრო კოდი N01.15.02.011.005; 01.12.2014 წლის ხელშეკრულება; საქრთველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 19.12.2014 წლის Nდ/13/12/75 წერილი; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), მეტრო სადგური "რუსთაველი"–ს (ნაკვ. 11/5) ვესტიბიულის სახურავზე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების სამუშოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge